საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2023 წელი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	
არქიტექტურა	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	- 120
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	არქიტექტურის მაგისტრი
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	პროგრამის მიზანია: • მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ისეთი პროფესიონალი, რომლის მოღვაწეობის ძირითადი სფერო იქნება არქიტექტურის დარგში პრაქტიკული თუ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. • კურსდამთავრებულმა შესძლოს დამოუკიდებლად წარმართოს არქიტექტურულ- პრაქტიკული საქმიანობა, რაც გულისხმობს ქალაქთმშენებლობით, შენობა–ნაგებობების, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, ლანდშაფტისა და გარემოს დიზაინური ობიექტების დაპროექტებას.
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: ✓ **ახდენს** არქიტექტურული მოღვაწეობის სფეროს - ქალაქგეგმარების, მოცულობითი არქიტექტურის, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, ლანდშაფტისა და გარემოს დიზაინის შესაბამისი ძირითადი კონცეფციების, თეორიების, მეთოდების, მიდგომებისა და სტრატეგიების ინტერპრეტირებას. ✓ **იცის** შენობების მდგრადი განვითარებისა და ენერგოეფექტურობის პრინციპები და **აცნობიერებს** არქიტექტურულ პროექტზე ბუნებრივ–კლიმატური, ფუნქციურ-ტექნოლოგიური, საინჟინრო, სივრცულ-არქიტექტურული, ერგონომიკული, ესთეტიკური, კულტურული ფაქტორების გავლენას. ✓ **იაზრებს** პროექტების მენეჯმენტის საკითხებს არქიტექტურასა და მშენებლობაში და **ფლობს** ქალაქმშენებლობით, არქიტექტურულ და სამშენებლო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ ნორმატიული ბაზის ცოდნას. ✓ **ითვალისწინებს** არქიტექტორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს და საპროექტო დავალებების მომზადებისა და დაპროექტების პროცესში მასთან შესაბამისობაში მოჰყავს დამკვეთისა და პოტენციური მომხმარებლის კომპლექსური ინტერესები. ✓ დამოუკიდებლად **ახორციელებს** არქიტექტურულ-პრაქტიკულ საქმიანობას, რაც გულისხმობს ქალაქთმშენებლობით, შენობა–ნაგებობების, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, ლანდშაფტისა ან გარემოს

	დიზაინური ობიექტების დაპროექტებას. ✓ მულტიდისციპლინურ და კომპლექსურ გარემოში დაპროექტებისას **ითვალისწინებს** ფუნქციურ-ტექნოლოგიურ, ბუნებრივ-კლიმატურ, სოციალურ ფაქტორებს, ასევე არქიტექტურული მენეჯმენტის, ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის, ისტორიული და კულტურული ასპექტებისა და ესთეტიკური მოთხოვნების, არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობისა და პროფესიული ეთიკის საკითხებს და დამოუკიდებლად **იღებს** ადეკვატურ და ორიგინალურ გადაწყვეტილებებს. ✓ **აანალიზებს** ლოგიკური აზროვნების საფუძველზე ტერიტორიის ოროგრაფიულ და ბიოკლიმატურ ფაქტორებს, არქიტექტურულ-კონსტრუქციულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და პროექტირებასთან დაკავშირებულ სხვა საინჟინრო პრობლემებს და **ასახავს** პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში. ✓ დამოუკიდებლად **აყალიბებს**, ყოველი კონკრეტული თემის შესაბამისად, საპროექტო დავალებას უახლეს მეთოდებზე და მიდგომებზე, ნორმატიულ ბაზაზე, სისტემურ ანალიზსა და აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპებზე დაყრდნობით და **ირჩევს** დაპროექტების ოპტიმალურ ხერხებსა და საშუალებებს, კვლევის შესაბამის მეთოდებს. ✓ **მართავს** არქიტექტურული პროექტის დამუშავების პროცესს და **იცავს** დასრულებულ საპროექტო ან/და კვლევით ნაშრომს. ✓ არქიტექტურული პროექტის დამუშავების, წარდგენისა და შეფასების პროცესში, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის მიზნით **იყენებს** ვიზუალურ, წერილობით, ვერბალურ მეთოდებსა და მედიის შესაძლებლობებს. ✓ კოორდინაციას **უწევს** მულტიდისციპლინურ გუნდს და პასუხისმგებელია ამ გუნდის შეთანხმებულად, სინქრონულად, ეთიკის ნორმების დაცვით, მუშაობის პროცესზე. ✓ დამოუკიდებლად **წარმართავს** კვლევით პროცესს ქალაქგეგმარების, მოცულობითი არქიტექტურის, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, ლანდშაფტისა ან გარემოს დიზაინის მიმართულებით.
	შეფასების წესი
	შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი შეფასებებია: • **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; • **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; • **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; • (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; • (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: • **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

	სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი: ლევან ბერიძე
ტელ: 599 58 35 09
e-mail: l.beridze@gtu.ge
მისამართი: მ.კოსტავას ქ.N 68, სტუ-ის IC კორპუსი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი